



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის ბიზნესილვა

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 4.8%, ხოლო თვის ინფლაციამ 0.5% შეადგინა. წლიურ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით დიდწილად სურსათის ფასები მოქმედებს. სექტემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციამ 11.9% შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის 4.8%-დან ამ ჯგუფზე 3.9 პროცენტული პუნქტი (პპ) მოდიოდა.

სურსათის ფასებს, სეზონურობის და ბუნებრივი პირობების ცვალებადობის გამო, დიდი მერყეობა ახასიათებს. საქართველოს სამომხმარებლო კალათაში სურსათის წონა დიდია (31.7%) და შესაბამისად, სურსათის ფასების ცვლილების გავლენა ინფლაციაზე მნიშვნელოვანია. გასულ წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო და აქედან გამომდინარე, წელს, სურსათის გაძვირება ნაწილობრივ საბაზო ეფექტს უკავშირდება. საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულის ფასები წინა წელთან შედარებით მომადებულია¹, რაც ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა. სურსათის ფასების ზრდას პურის ფასის ერთჯერადი გაძვირებაც განაპირობებს².


ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით საწვავის ფასების წლიური გაიფხება მოქმედებს, რაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ცენდენციის ასახვაა.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამოიცხავს, მიმდინარე წელს სტაბილურია. სექტემბერში საბაზო ინფლაციამ 2.1% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია 0.5% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.8% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

სექტემბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე გამოსარჩევი, სავარაუდოდ სეზონური ფაქტორების გამო, იმერული ყველის 6.0%-ით გაძვირებაა, რის გამოც თვის ინფლაცია 0.16 პპ-ით გაიზარდა. ინტერნეტის გადასახადის 15.6%-ით შემცირებამ თვის ინფლაცია 0.14 პპ-ით შეამცირა³.

წლიურ ქრილში, როგორც აღინიშნა, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი გასულ წლის სექტემბერთან შედარებით 12.1%-ით გაძვირდა, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 3.7 პპ შეადგინა. აქედან პურის, ყველის, ზეთის, შოკოლადის გაძვირებაზე ჯამში 1.7 პპ მოდიოდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 9.0%-იანი ინფლაცია, რამაც მთლიან ინფლაციაში 0.8 პპ-იანი წვლილი შეიძინა.


ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად, 0.3 პპ-ით, საწვავის გაიფხება მოქმედებდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.3% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას დიდწილად პურისა და ყველის ფასების ზრდა განაპირობებს. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, სექტემბერში 3.1%-ს გაუცოლდა.


¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

² 2025 წლის მარტში პურის ფასის ერთჯერადი გაძვირება 2026 წლის მარტამდე საბაზო ეფექტით აისახება ინფლაციაზე.

³ ამ შემთხვევაში ინტერნეტის გაიფხება ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს.

შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 7.8% იყო. აქ ყველაზე დიდი წვლილი ზეთს, კარცოფილსა და შოკოლადს აქვს. იმპორტირებული ინფლაცია, ყველაზე მეტად საწვავის ფასების გავლენით, კვლავ დეფლაციურია და -1.1%-ს შეადგენს.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	სექ25/აგვ25		სექ25/სექ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.5%	0.5%	4.8%	4.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	1.4%	0.5%	11.9%	3.9%
სურსათი	31.7%	1.5%	0.5%	12.1%	3.7%
პური და პურპროდუქტები	6.9%	0.5%	0.0%	10.2%	0.7%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.0%	0.1%	4.1%	0.3%
თევზი	0.5%	0.0%	0.0%	11.3%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	3.4%	0.2%	11.3%	0.7%
ზეთი და ცხიმი	2.9%	2.4%	0.1%	16.4%	0.5%
ხილი, ყურძენი	1.7%	-0.7%	0.0%	25.0%	0.5%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	2.3%	0.1%	19.5%	0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	1.6%	0.0%	15.1%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.5%	0.0%	3.1%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.3%	0.0%	10.0%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	-0.6%	0.0%	4.1%	0.3%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	4.2%	0.2%	-2.0%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	-0.1%	0.0%	0.9%	0.1%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-2.2%	-0.1%	-3.7%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	0.1%	0.0%	9.0%	0.8%
ტრანსპორტი	10.9%	-0.2%	0.0%	-2.1%	-0.2%
კავშირგაბმულობა	3.2%	-4.7%	-0.1%	-4.2%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	-0.3%	0.0%	-1.3%	0.0%
განათლება	5.4%	2.6%	0.1%	2.8%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.7%	0.0%	7.1%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	-0.7%	0.0%	4.3%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	60.8%	0.4%	0.3%	7.0%	4.2%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	8.1%	2.5%	0.2%	-2.4%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.2%	0.3%	0.0%	-0.8%	0.0%
მომსახურება	25.9%	-0.1%	0.0%	3.1%	0.8%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


აგვისტოში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად, 6.9 მლრდ ლარით, 12.2%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით კი წლიურად 11.6%-ით გაიზარდა) და 63.0 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი 1.0 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 0.5 მლრდ ლარით (1.5%-ით) გაიზარდა და 31.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებამ (618.0 მლნ ლარით) განაპირობა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, ამ შემთხვევაშიც, წინა თვესთან შედარებით, 0.5 მლრდ ლარის ზრდა (1.8%-ით) დააფიქსირა.

სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში, დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.03 პპ-ით შემცირდა და 5.8%-ს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.6% შეადგინა. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 2.0%-ის დონეზეა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 11.0% შეადგინა. ევროს ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.1 პპ-ით, 1.3%-მდე შემცირდა. დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელია და 2.7%-ის ნიშნულზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის პარაშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია აგვისტოში **49.7% შეადგინა**. აგვისტოს ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 64.3%-მდე, შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.9 პპ-ით გაიზარდა და 39.9%-ს შეადგენს. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით, 60.2%-მდე, შემცირდა.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულ დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.1 პპ-ით შემცირდა და წლიურმა ზრდის ტემპმა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 14.8% შეადგინა. აღნიშნული, მეტწილად, ეროვნული ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით შემცირდა და 18.8% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში კი 10.6 პპ-იანი წვლილი ეროვნული ვალუტით დაკრედიტებამ შეიტანა. დაკრედიტების ზრდაში მთავარი წვლილი კვლავ ბიზნესის სესხებს შეაქვს რომლის წვლილი მთლიან სესხების ზრდაში 7.4 პპ შეადგენს. სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი შენელებას განაგრძობს. აგვისტოში წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით 22.7%-მდე მოიკლო და მთლიანი სესხების ზრდაში 4.4 პპ წვლილი შეიტანა.

**სასხაბის წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სასხაბი მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.6% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით შემცირდა და 9.4%-ს გაუტოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 15.8%-მდე, გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სასხაბზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაბზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.4% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 13.0%-მდე, შემცირდა. წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.8 პპ-ით, 9.6%-მდე, შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.1 პპ-ით, 8.1%-მდე გაიზარდა.


აგვისტოში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია არ შეცვლილა და 42.4%-ის დონეზეა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 64.0% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.1 პპ-ით შემცირდა და 23.3% შეადგინა. აგვისტოში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 3.5 მლნ ლარით გაიზარდა და 601.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 44.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (პურსის აფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი

აგვისტოში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 7.7%-ით გაუმჯობესდა და 752.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 6.9%-ით, 1.36 მლრდ აშშ დოლარამდე, შემცირდა, ხოლო ექსპორტი 5.9%-ით შემცირდა და 603.0 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ექსპორტის შემცირება დიდწილად მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის შემცირებამ განაპირობა, რომლის წვლილმა -5.6 პპ შეადგინა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 6.2%-ით გაიზარდა.


იანვარ-აგვისტოში იმპორტი ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით⁴, წლიურად 4.9%-ით გაიზარდა, ადგილობრივი მოხმარების იმპორტი კი - 3.5%-ით. მთლიანი ექსპორტის ზრდამ 6.7%, ხოლო ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ 3.1% შეადგინა. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს (ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით), ამავე პერიოდში 3.7%-ით გაუარესდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (აგვისტო 2025)



წყარო: საქსტატი


იმპორტი - აგვისტოში საქონლის იმპორტი წლიურ ჭრილში 6.9%-ით შემცირდა. შემცირების მიმართულებით ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტი მოქმედებდა, -4.7 პპ კონტრიბუციით. საინვესტიციო საქონლის უარყოფითი წვლილი 2.5 პპ იყო, ხოლო შუალედური მოხმარების საქონლის დადებითმა კონტრიბუციამ 0.3 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლიდან იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-6.9 პპ). საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირებაში კი სადვირთო ავტომობილებს, ბულოზერებსა და კომპიუტერულ ტექნიკას.


შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია მაგნიუმის მადნებსა და ნავთობპროდუქტებს ჰქონდა.

⁴იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



ქვეყნების ჯგუფის წრილში, აგვისტოში იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნების წვლილმა -0.6 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კი კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც უმეტესად გერმანიიდან ხორციელდება. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 25.8%-დან 17.9%-მდე შემცირდა. საპირისპიროდ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად მცირდებოდა გერმანიიდან და იაპონიიდან (მსუბუქი ავტომობილები), ასევე თურქეთიდან. ხოლო ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ჩინეთსა და რუმინეთს (ნავთობპროდუქტები) ჰქონდა.

თურქეთიდან იმპორტზე დანახარჯები ყველაზე მეტად ნავთობპროდუქტების ხარჯზე შემცირდა, ასევე შემცირებულია მსუბუქი და სადვიროთ ავტომობილების იმპორტი. ხოლო არმადურისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტი გაიზარდა.

აშშ-დან იმპორტის შემცირება ძირითადად მსუბუქ ავტომობილებს უკავშირდება.


ასევე შემცირებულია რუსეთიდან იმპორტი, ძირითადად არმადურისა და ნავთობპროდუქტების ხარჯზე.

საპირისპიროდ, გაზრდილია იმპორტი ჩინეთიდან სამრეწველო პროდუქტებისა და მსუბუქი ავტომობილების იმპორტის გამო.


აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 78.1% მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, აგვისტოში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (აპრილში 2025)



საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

წყარო: საქსტატი

ექსპორტი - აგვისტოში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 5.9%-ით შემცირდა და 603.0 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. ექსპორტის შემცირება განპირობებული იყო სამომხმარებლო საქონლისა (-6.9 პპ კონტრიბუციით) და საინვესტიციო საქონლის (-1.4 პპ კონტრიბუციით) ექსპორტის შემცირებით. მეორე მხრივ, გაზრდილია შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტი.



სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი ნეგატიური წვლილი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიცანა.

საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება დაკავშირებულია სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებასთან.

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ფეროშენადნობებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი. ასევე გაიზარდა სპილენძის მადნის ექსპორტი.

საქონლის შესაძენი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (აგვისტო 2025, წილი შესაძენში)

ქვეყნების წილი საქონლის შესაძენში (აგვისტო 2025)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის შრილში, აგვისტოში ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების პოზიციურმა წვლილმა 4.3 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ბულგარეთში ძვირფასი ლითონების და სპილენძის მადნების ექსპორტის ზრდას უკავშირდება.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის საქსპორტო შემოსავლები შემცირდა ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და სომხეთიდან, რაც ძირითადად მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის შემცირებით იყო გამოწვეული. ასევე შემცირებულია ექსპორტი თურქეთში. საპირისპიროდ, გაიზარდა ექსპორტი აშშ-ში, ფეროშენადნობების ექსპორტის ხარჯზე. ხოლო ექსპორტის ზრდა დაჭიკეთსა და უზბეკეთში მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის ზრდით იყო განპირობებული.

რუსეთში გაზრდილი ექსპორტი ძირითადად ახალი და დამუშავებული ხილის ექსპორტს უკავშირდებოდა. ასევე, ზრდის მიმართულებით, პოზიციური წვლილი შეიძინა სპირტიანმა სასმელებმა.

თურქეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების შემცირება ძირითადად ფეროშენადნობებისა და ელექტროენერგიის გაყიდვების კლებას უკავშირდება.

აგვისტოში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (41.4%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან, გაიზარდა ფეროშენადნობების, სპილენძისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და ხილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.



წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - აგვისტოში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 10.7%-ით, 321.5 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 7.8%-ით, 35.7 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (5.2 პპ) შეიძინა წლიური 11.7%-იანი ზრდით. 16.8%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 2.9 პპ). რუსეთის უარყოფითი კონტრიბუცია კი აგვისტოში 0.4 პპ-ს გაუცოლდა.

აგვისტოში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.9%), აშშ (18.4%) და რუსეთი (12.9%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.6%), გერმანიის (9.1%) და საბერძნეთის (7.8%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (აგვისტო 2025)

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


აგვისტოში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7141-დან 2.7015-მდე (0.5%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 3.1756-დან 3.1367-მდე (1.2%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6946 და 3.1438 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7263 იყო, მინიმალური კი - 2.6942.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურთან შედარებით სამჯერ მეტად იყო გადახრილი.


აგვისტოში, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუსული რუბლის გაუფასურება; როგორც თვის, ისე წლის წრილში მნიშვნელოვნადაა გაუფასურებული თურქული ლირა; წინა თვესთან შედარებით გაუფასურდა ევრო. გამყარებით ხასიათდებოდა ლარი, მცირედით გამყარდა სომხური დრამი; აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (აპრის 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 3.4%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი 1.1%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), წლიურად 0.5%-ით გამყარდა, თვის წრილში კი 1.3%-ით.

ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან აგვისტოში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (აპრილი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


აგვისტოში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 6⁵ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირებულია და დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აგვისტოში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წლიურად გაზრდილია, ხოლო თვითრად შემცირებული. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 288.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 223.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის აგვისტოსთან შედარებით კი - 107.0 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 3.9%-ით გაიზარდა, წლიურად კი 19.5%-ით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁶ გარიგებებით ხდებოდა (99.5%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,411.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 73.8 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 1,111.6 მლნ აშშ დოლარით შემცირებული. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 5.9% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 199.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

⁵ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.


⁶ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

აგვისტოში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავ პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 80 მლნ ლარი შეადგინა.


აგვისტოში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. აგვისტოში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 60 და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 123.1 მლნ ლარით გაიზარდა და 10,698.9 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 73.2%-ს კომერციული ბანკების, 11.8%-ს ეროვნული ბანკის, 13.9%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.1%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ნაწილობრივ გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები ფაქტობრივად უცვლელად შენარჩუნდა. კერძოდ, აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.4%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 0.1 პპ-ით და 7.2% შეადგინა, ხოლო სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით, 7.3%-მდე, გაიზარდა. სამწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელად, 9.1%, 9.6% და 9.8% შენარჩუნდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 3,335.3 მლნ ლარით (წლიურად 549.1 მლნ ლარით) 17,860.4 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსის შემცირებით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (84.8%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 2,593.0 მლნ ლარით (14.6%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 742.3 მლნ ლარით (21.5%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.7% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 2.1% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოში ფულადი ბაზრის რესურსის 22.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 77.5% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგადები

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 93.7 მლნ ლარით (1.2%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.0 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 226.5 მლნ ლარით (2.8%-ით) გაიზარდა.

აგვისტოში, სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 199.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბრანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 91.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 107.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


აგვისტოში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 145.7 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 1,033.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აგვისტოში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 121.2 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხების მოცულობამ, წინა თვესთან შედარებით, 150.0 მლნ ლარით მოიკლო. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 60.0 მლნ ლარით შემცირდა. აგვისტოში დაიფარა და განთავსდა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, აგვისტოში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 210.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 5,720.7 მლნ ლარს გაუცოლდა.


აგვისტოში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვის ქრილში 1.2 მლრდ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 0.6 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სემსტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

